

ნასესხობათა ინტეგრაცია  
ნალკურ ურუმულში  
INTEGRATION OF BORROWINGS IN URUM  
FROM TSALKA

მარია ჯიქია  
Marika Jikia

ნუცა წერეთელი  
Nutsa Tsereteli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** სახელის სესხება, ზმნის სესხება, ნასესხობათა  
ინტეგრაცია, ურუმული

**Keywords:** Noun Borrowings, Verb Borrowing, Integration of Borrowings,  
Urum

საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს და მათ შორის არიან ბერძნები. ბერძნების გადმოსახლების ისტორია ორი საუკუნის წინ დაიწყო და ის უკავშირდება ადრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმდა რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთის იმპერიას შორის. ბერძნების ორი ნაკადი იყო – პონტოელებისა და თურქულენოვანების. ეს უკანასკნელი დასახლდნენ სამხრეთ საქართველოში, კერძოდ – წალკის რაიონში. მათი სამეტყველო ენა თურქული ენის ერთ-ერთი დიალექტია და მას ურუმული ეწოდება. ურუმული ძალიან საინტერესო სოციო-ლინგვისტური ფენომენია. საბჭოთა საქართველოში ცხოვრების განმავლობაში რუსულმა ენამ ძლიერი გავლენა მოახდინა ურუმულზე და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბერძნები განათლებას რუსულ სკოლებში იღებდნენ და საბჭოთა კავშირის პერიოდში რუსული ფაქტობრივად სახელმწიფო ენას წარმოადგენდა. ნაშრომში წარმოდგენილია ანალიზი იმისა, თუ როგორ ხდება რუსული ენიდან ნასესხები ენობრივი ერთეულების ინტეგრაცია ურუმულში.

მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა უცხოენოვანი ლექსიკის შეთვისების ძირითადი სტრატეგია: ზოგადად ნასესხობები ემორჩილება ურუმული ენის გრამატიკის ნორმებს, რაც აადვილებს სახელებისა და ზმნების ინტეგრაციის პროცესს. დღესდღეობით წალკელ ურუმთა ენა მოიცავს რამდენიმე ენობრივ ლექსიკურ ფენას და, შესაბამისად, იგი შეიძლება ჩაითვალოს „შერეულ“ ენად. საბჭოთა პერიოდში ურუმთა მეტყველებაში იმძლავრა რუსულმა კლიშეებმა და ყოველგვარი ადაპტაციის გარეშე მოხდა რუსული წინადადებებისა და ფრაზების სესხება; მცირე რაოდენობით დაფიქსირდა ქართული, აზერბაიჯანული და ბერძნული ლექსიკური ერთეულები.

### **ლიტერატურა:**

- გუდიაშვილი ე. – Гудиашвили Е. (1949). Особенности турецкого говора Цалкинского района. Тезис. Тбилиси.
- კორელოვი ი. – Корелов И (1993). Сопоставительный анализ базис-

ных уровней структуры языка урумов. Автореферат докторской диссертации. Тбилиси.

- ყახუჩიშვილი ს. (1942). ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში (ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები). თბილისი.
- ჯანაშია ნ. (1954). ზემო წალკის თურქული მეტყველების თავისებურებანი. სადისერტაციო ნაშრომი (ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად). თბილისი.

Many ethnic groups live on the territory of Georgia and among them are Greeks. The history of migration of the Greeks started two centuries ago according to the Andriapolis Peace treaty, which was signed between the Russian Empire and the Ottoman Empire. There were two groups of Greeks – Pontic and Turkish-speaking Greeks. Turkish-speaking Greeks settled in the southern part of Georgia, in particular in the Tsalka region. The language they speak is one of the dialects of the Turkish language and it is called as Urum language. Urum is a very interesting socio-linguistic phenomenon. Having lived for a long time in Soviet Georgia, the Russian language had a strong influence on Urum and this is not surprising, since the Greeks were educated in Russian schools and during the Soviet era, Russian was, in fact, the state language. The paper presents an analysis of how lexical units borrowed from Russian are integrated into Urum.

The study based on the corpus data of Turkish-speaking Greeks revealed the main strategy of assimilation of foreign lexical units: In general, borrowings obey the grammar norms of the Urum language, which facilitates the process of integration of nouns and verbs. Nowadays

Urum language includes several linguistic lexical layers and therefore it can be considered as a “mixed” language. During the Soviet period, Russian clichés became stronger in the speech of the Urums. Although, there are some examples when Urum people use in their conversation whole phrases or even sentences from Russian without any adaptation. A small number of Georgian, Azerbaijani and Greek lexical units were observed as well.

## References:

- Gudiashvili, E (1949) Osobennosti turetskogo govora tsalkinskogo rajona [Characteristics of Turkish speech of Tsalka region population]. Thesis, Tbilisi.
- Korelov, I. A. (1993). Sopostavitel'nyj analiz bazisnykh urovnej struktury jazyka urumov [Contrastive analyses of basic levels of Urum structure]. Abstract of doctoral thesis. Tbilisi.
- Kaukhchishvili, S. (1942). Berdznebis dasaxlebis istoria sakartveloshi. [The history of Greeks migration to Georgia]. Kutais tsuluk'idzis saxelobis saxelmtsipo p'edinst'it'ut'is shromebi [Works of Kutaisi A. Tsulukidze state Pedagogical Institute]. vol.4. Kutaisi.
- Janashia, N. (1954) Zemo tsalk'is turkuli met'q'velebis taviseburebani [Peculiarities of Turkish speaking population of upper Tsalka]. Dissertation (for the degree of Candidate of Philological Sciences), Tbilisi.

# Miscellaneous

## აშშ-ვატიკანის ურთიერთობები ცივი ომის პერიოდში US-VATICAN RELATIONS DURING THE COLD WAR

ლეილა ხუბაშვილი  
Leila Khubashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ვატიკანი, ცივი ომი, პიუს XII, იოანე XXIII,  
ანტისოვიეტობა, ენციკლიკა, აჯორნამენტო.

**Keywords:** Vatican, Cold War, Pius XII, John XXIII, Anti-Sovietism, Enciclica,  
Ajornamento.